პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-

2023 წლის ---- დეკემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4823341145, 07/12/2023) წერილი, რომელშიც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრას წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გადაცემისას საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი — მ. ბერაძე

შეთანხმებულია
აპარატის უფროსი — გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე — რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4823341145**
თარიღი: **07/12/2023**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსისა'' და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669-ე დადგენილების შესაბამისად წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობას დანართი N1-ის შესაბამისად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

№	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	საკადასტრო კოდი	წლიური საიჯარო ქირა
1	2	3	4	
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.305	28 ლარი
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 44.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.306	88 ლარი
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.307	28 ლარი
4	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 53.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.308	106 ლარი
5	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 71.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.309	142 ლარი
6	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 11.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.310	22 ლარი
7	წყალტუბო-ქუთაისის საავტომობილო გზა	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 242.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.144	484 ლარი